2-5559/20
27-05-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

კომიტეტში შემოვიდა საქართველოს პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ბატონ ირაკლი კოვზანაძის (2-5520/20 25-05-2020) წერილი, რომლითაც ავტორი ითხოვს საქართველოს პარლამენტის წევრების: გია ჟორჟოლიანის, მირიან წიკლაურის, კარლო კოპალიანის, ერეკლე ტრიპოლსკის, ვიქტორ ჯაფარიძის, გოჩა ენუქიძის, ანზორ ბოლქვაძის, ზაზა პაპუაშვილის, სულხან მახათაძის, ალექსანდრე ერქვანიას და კობა ნაკაიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტზე „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/395; 20.09.2019) განხილვის გადავადებას 2 თვით.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე გთხოვთ სავალდებულო და წამყვან კომიტეტებს კანონპროექტის განხილვის ვადა გაუგრძელოთ 2 თვით.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
გენადი მარგველაშვილი

2-5520/20
25-05-2020

საქართველოს პარლამენტის განათლების,
მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის
თავმჯდომარეს ბატონ გენადი მარგველაშვილს

ბატონო გენადი,

გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტის წევრების: გია ჟორჟოლიანის, მირიან წიკლაურის, კარლო კოპალიანის, ერეკლე ტრიპოლსკის, ვიქტორ ჯაფარიძის, გოჩა ენუქიძის, ანზორ ბოლქვაძის, ზაზა პაპუაშვილის, სულხან მახათაძის, ალექსანდრე ერქვანიას და კობა ნაკაიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/395; 20.09.2019) საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით სავალდებულო კომიტეტად განისაზღვრა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.

აღნიშნული კანონპროექტების განხილვა დადგენილ ვადაში ვერ ხერხდება. მოგმართავთ თხოვნით, კანონპროექტებზე განხილვის ვადა გაგრძელდეს 2 თვით.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ირაკლი კოვზანაძე